



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### „თბილისური“

„თბილისური“, ვაზის ჰიბრიდული ჯიშის მიღებულია „ალექსანდრიული მუსკატისა“ და „რქანთელის“ შეჯვარებით. აქვს გარეგნულად ლამაზი, დიდი მტევანი და მოყვითალო-მომწვანო, ჭარბრბილობიანი, ოვალური მარცვალი. ვაზი ინტენსიურად იზრდება, უხვმოსავლიანი (200 ც/ჰა-ზე), შენახვისუნარიანი და ტრანსპორტაბელურია. შაქრიანობა 19,5 - 21%-ია, მჟავიანობა - 5,4-5,7 გ/დმ<sup>3</sup>. მწიფდება ოქტომბერში. ფართოდაა გავრცელებული აღმ. საქართველოს მევენახეობის რ-ნებში. ჯიშის გამოიყვანეს ა. ქანთარია და ნ. ჩახნაშვილმა.

*ქ. გეგეშიძე*

---